

შესწორებული: 2014 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №202/19

ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ ანალოგური მიწისზედა ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლა სახელმწიფო მნიშვნელობის ფართომასშტაბიან რეფორმას წარმოადგენს, რომელიც ქვეყნის 2006 წლის GE06 ხელშეკრულების ფარგლებში საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) წევრი ქვეყნების, მათ შორის - საქართველოს, საერთაშორისო ვალდებულებას წარმოადგენს. მოცემული ხელშეკრულების ხელმოწერით, საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, რომლის შესაბამისადაც შემუშავდა საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 10 თებერვლის N206 განკარგულებით მოწონებული ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა და შესაბამისი რეკომენდაციები.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 20 თებერვალს მიღებულ იქნა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 27 თებერვალს. (სარეგისტრაციო კოდი 320110000.05.001.017341). აღნიშნული კანონის მე-2 მუხლი მე-7 პუნქტით განისაზღვრა კომისიის ვალდებულება, ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის მიზნით გამოაცხადოს კონკურსი 2014 წლის 1 აპრილამდე. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა, რომ კომისიამ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის მიზნით კონკურსის გამოცხადებისას უნდა იხელმძღვანელოს „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმის და შესაბამისი რეკომენდაციების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის №206 განკარგულებით მოწონებული სამოქმედო გეგმით.

კომისია აღნიშნავს, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ტექნიკური დახმარების მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, ექსპერტების დახმარებით, განხორციელდა:

ა) სხვადასხვა დანიშნულებისა და ტექნიკური სპეციფიკაციის, ეროვნული დაფარვის შესაძლებლობის მქონე ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელების (შემდგომში „მულტიპლექს პლატფორმა“) ფორმირებისათვის საჭირო სიხშირული რესურსის დაგეგმარება (470-694 მჰც სიხშირულ დიაპაზონებში);

ბ) საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებზე დაყრდნობით, შემუშავდა ე.წ. „სეთ-თოფ-ბოქსების“ დეტალური ტექნიკური სპეციფიკაციის დოკუმენტი;

გ) შემუშავებულ იქნა ციფრული სამაუწყებლო ქსელების „ოპერირების წესები“;

დ) პოტენციური ინვესტორებისა და კონკურსის მონაწილეების მხარდასაჭერად, შემუშავდა დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს ეროვნული (არანაკლებ საზოგადოებრივი მაუწყებლის ანალოგური საეთერო ქსელის) დაფარვის მქონე ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის სავარაუდო დაგეგმარებას, ხარჯების გაანგარიშების სავარაუდო მოდელსა და ქსელისა და მომსახურების ხარისხობრივ მაჩვენებლებსა და პარამეტრებს, რაც ასევე ასახულია 2014 წლის 10 თებერვლის №206 განკარგულებით მოწონებულ სამოქმედო გეგმაში (ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია

ხელმისაწვდომია, როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე ინტერნეტში <http://www.economy.ge/ge/media/news/cifrul-miwiszeda-satelevizio-mauwyeblobaze-gadasvlis-samoqmedo-gegma-da-rekomendaciebi>, ასევე კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე ინტერნეტში http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=50712&info_id=115066).

კომისია აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლება მოიპოვება ლიცენზიის საფუძველზე, ამ კანონის 52¹ მუხლით გათვალისწინებული კონკურსის წესით. ამავე კანონის 50¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია გაიცემა თავისუფალი რადიოსიხშირული რესურსის არსებობისას, კომისიის ინიციატივით ან დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე კონკურსის გამოცხადების და კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შედეგად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისია აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის №206 განკარგულებით მოწონებული სამოქმედო გეგმით (რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ტექნიკური დახმარების მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელებისათვის განხორციელებულ რადიოსიხშირულ დაგეგმარებას), განსაზღვრულია 470-694 მჰც სიხშირულ დიაპაზონებში არსებული ის თავისუფალი სიხშირული რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება 2015 წლის 17 ივნისიდან ხუთი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის ფორმირებისათვის და შესაბამისად, შესაძლებელია გამოცხადდეს კონკური ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 5 ლიცენზიის მოპოვების მიზნით.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 52¹ მუხლი განსაზღვრავს ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების, ჩატარებისა და გამარჯვებულის გამოვლენის პროცედურულ საკითხებს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის გ) ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრულია, რომ საკონკურსოდ გამოტანილი ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყის საფასურს კომისია ადგენს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამისი დასკვნის საფუძველზე;

კომისია აღნიშნავს, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ტექნიკური დახმარების მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, 2014 წლის 3 თებერვალს კომისიამ მიმართა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 52¹ მუხლის მე-2 პუნქტის გ) ქვეპუნქტის შესაბამისად, საკონკურსოდ გამოსატან 470-694 მჰც სიხშირულ დიაპაზონებში არსებული თავისუფალი სიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობების თაობაზე, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაბამისი დასკვნის წარმოდგენის თხოვნით. ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ 2014 წლის 20 თებერვალს კომისიაში წარმოდგენილ იქნა რეკომენდაცია „Advice to GNCC on spectrum charging for digital broadcasting switchover“, რომელშიც აღნიშნულია, რომ საკონკურსოდ გამოსატანი ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური, ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად, სასურველია განისაზღვროს ნულის ოდენობით. რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ აღნიშნული დასკვნა ემყარება არსებულ საერთაშორისო პრაქტიკას.

კომისია აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 52¹ მუხლის მე-2 პუნქტის გ) ქვეპუნქტის შესაბამისად, საჭიროა ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის განსაზღვრა, ხოლო საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ტექნიკური დახმარების მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში შემუშავებული და კომისიაში წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, საკონკურსოდ გამოტანილი ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური, სასურველია იყოს ნული. საკონკურსოდ გამოსატანი ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის მაქსიმალურად დაბალი საფასურის დაწესებას საფუძვლად უდევს გამოხატვის თავისუფლებისა და მედია პლურალიზმის ხელშეწყობა; მნიშვნელოვანია, რომ მაუწყებლების სატელევიზიო კონტენტის გავრცელების ხარჯი არ იყოს მაღალი და ამ ხარჯის ზრდას არ განაპირობებდეს სიხშირული რესურსის მოსაპოვებლად გადახდილი ამოწურვადი რესურსით სარგებლობის მაღალი საფასური; მეორე მხრივ, ნულთან მიახლოებული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის დაწესებით, კომისია საშუალებას მისცემს ბაზარს თავად განსაზღვროს საკონკურსოდ გამოსატანი ამოწურვადი რესურსის რეალური საბაზრო ღირებულება;

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნისა და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) რეკომენდაციის საფუძველზე, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის ფორმირებისათვის საკონკურსოდ გამოტანილი ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურად განისაზღვროს ნულთან მიახლოებული, მაგრამ არაუმეტეს „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონი მე-6 მუხლის მე-14 პუნქტის დ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სალიცენზიო მოსაკრებლის ოდენობა - 1000 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (სარეგისტრაციო კოდი 320110000.05.001.017341) მე-2 მუხლის მე-7 და მე-9 პუნქტების, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-7 პუნქტის, 50¹-ე და 52¹-ე მუხლების შესაბამისად და „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმის და შესაბამისი რეკომენდაციების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის №206 განკარგულებით მოწონებული სამოქმედო გეგმისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ტექნიკური დახმარების მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში შემუშავებული 2014 წლის 20 თებერვლის რეკომენდაციის („Advice to GNCC on spectrum charging for digital broadcasting switchover“) გათვალისწინებით, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. გამოცხადდეს კონკურსი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ხუთი ლიცენზიის -№MUX-A, №MUX-B, №MUX-C, №MUX-D და №MUX-E მოსაპოვებლად;
2. ლიცენზიების მაძიებლების საკონკურსო განცხადებების მიღება განხორციელდეს 2014 წლის 2 მაისის 19:00 საათამდე;
3. საკონკურსო განცხადების მიღება განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქუჩა 50/18;

4. საკონკურსო განცხადების მიღება უზრუნველყოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (ი.ხარებავა);
5. იკრძალება კომისიისთვის საკონკურსო განცხადებისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის საფოსტო გზავნილის სახით მიწოდება;
6. კონკურსში მონაწილეობა ეზღუდება:
 - ა) ადმინისტრაციულ ორგანოს, ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირს და სხვა საჯარო მოხელეს;
 - ბ) პოლიტიკურ პარტიას;
 - გ) იურიდიულ პირს, რომლის წილს ან აქციებს პირდაპირ ან ირიბად ფლობს სახელმწიფო ან ამ პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.
7. კონკურსთან დაკავშირებით შეკითხვების წერლობითი ფორმით მიღება და მათზე წერილობითი პასუხების გამოქვეყნება განხორციელდეს 2014 წლის 25 აპრილის 19:00 საათამდე;
8. მოსამზადებელი სხდომის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2014 წლის 7 მაისის 13:00 საათი;
9. ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2014 წლის 9 ივნისის 13:00 საათი;
10. კონკურსის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2014 წლის 10 ივნისი 13:00 საათი;
11. დამტკიცდეს ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX-A, №MUX-B, №MUX-C, №MUX-D და №MUX-E ლიცენზიების მისაღებად კონკურსის ჩატარების თანდართული წესი და პირობები (შემდგომში „საკონკურსო პირობები“);
12. წინამდებარე გადაწყვეტილებით დამტკიცებული საკონკურსო პირობები ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;
13. ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული თითოეული ლიცენზიით განსაზღვრული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური განისაზღვროს 1000.00 (ერთი ათასი) ლარით;
14. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს აღნიშნული გადაწყვეტილების საჯაროობის უზრუნველყოფა და კომისიის ვებ გვერდზე (www.gncc.ge) გადაწყვეტილების ოფიციალური ტექსტისა და მისი ინგლისურენოვანი თარგმანის გამოქვეყნება; გადაწყვეტილების ოფიციალურ ტექსტსა და ინგლისურენოვან თარგმანს შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ოფიციალურ ტექსტს;
15. დაევალოს კომისიის პრესმდივანს (ხ.ყურაშვილი), კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაციის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელება;
16. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ინტერნეტში კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნების დღიდან;

17. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;

18. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის, სტრატეგიული განვითარების, სამართლებრივ და ადმინისტრაციულ დეპარტამენტებს ერთობლივად (ს.შავგულიძე, თ.ტყეშელაშვილი, კ.ყურაშვილი, ი.ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი

კომისიის წევრი

კომისიის წევრი

აკაკი სიხარულიძე

სოფიო ბრიტანჩუკი

ირაკლი მოსემვილი

„დამტკიცებულია“

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 31 მარტის N176/10
გადაწყვეტილებით**

**ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული
სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად კონკურსის ჩატარების წესი და პირობები
(„საკონკურსო პირობები“)**

**მუხლი 1. საკონკურსო განცხადება, მასზე თანდართული დოკუმენტაცია (შემდგომში
„საკონკურსო წინადადება“) და საკონკურსო წინადადების წარმოდგენის წესი**

1. ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს საკონკურსო განცხადებით, რომელსაც თან ერთვის საკონკურსო წინადადება;

2. საკონკურსო განცხადებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის შესახებ მონაცემები, მისამართი, მოქალაქეობა;

ბ) იურიდიული პირის შემთხვევაში – საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები პარტნიორთა შესახებ, აგრეთვე იმ აქციონერთა შესახებ, რომლებიც ფლობენ აქციების 5%-ს ან მეტს; ასევე, ლიცენზიის მაძიებლის პასუხისმგებლობით, დადასტურება, რომ ლიცენზიის მაძიებლის ის აქციონერი, რომელიც ფლობს აქციების 5%-ზე ნაკლებს არ არის სახელმწიფო, ადმინისტრაციული ორგანო, ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი და სხვა საჯარო მოხელე, ასევე პოლიტიკური პარტია;

3. ლიცენზიის მაძიებლებმა საკონკურსო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ხუთი ლიცენზიისაგან ფორმირებული შემდეგი სახის 10 დასაშვებ კომბინაციაზე (შემდგომში „ლოტი“):

დასაშვები ლოტი	გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა
A+0	საკონკურსო წინადადება მოიცავს მხოლოდ №MUX- A ლიცენზიას
A+1	საკონკურსო წინადადება მოიცავს №MUX-A ლიცენზიას და №MUX-C, №MUX-D და №MUX-E ლიცენზიებიდან ერთ-ერთს
A+2	საკონკურსო წინადადება მოიცავს №MUX- A ლიცენზიას და №MUX-C, №MUX- D და №MUX- E ლიცენზიებიდან ნებისმიერ ორ ლიცენზიას
B+0	საკონკურსო წინადადება მოიცავს მხოლოდ №MUX- B ლიცენზიას
B+1	საკონკურსო წინადადება მოიცავს №MUX-B ლიცენზიას და №MUX-C, №MUX- D და №MUX- E ლიცენზიებიდან ნებისმიერ ერთ ლიცენზიას
B+2	საკონკურსო წინადადება მოიცავს №MUX-B ლიცენზიას და №MUX-C, №MUX- D და №MUX- E ლიცენზიებიდან ნებისმიერ ორ ლიცენზიას
A+B+0	საკონკურსო წინადადება მოიცავს №MUX-A და №MUX- B ლიცენზიებს
A+B+1	საკონკურსო წინადადება მოიცავს №MUX-A და №MUX- B ლიცენზიებს და №MUX-C, №MUX-D და №MUX-E ლიცენზიებიდან ნებისმიერ ერთ ლიცენზიას
A+B+2	საკონკურსო წინადადება მოიცავს №MUX-A და №MUX-B ლიცენზიებს და №MUX-C, №MUX-D და №MUX-E ლიცენზიებიდან ნებისმიერ ორ ლიცენზიას
A+B+3	საკონკურსო წინადადება მოიცავს ხუთივე ლიცენზიას, კერძოდ №MUX-A, №MUX-B, №MUX-C, №MUX-D და №MUX-E ლიცენზიებს

4. ლიცენზიის მაძიებელი უფლებამოსილია საკონკურსო წინადადებები წარმოადგინოს ათივე ლოტზე; მიუხედავად იმისა, რომ ლიცენზიის მაძიებელი უფლებამოსილია საკონკურსო წინადადება წარმოადგინოს 5 ლიცენზიისაგან ფორმირებულ ყველა (ათივე)

ლოტზე, ლიცენზიის ერთმა მაძიებელმა შესაძლებელია მოიპოვოს მის მიერ ერთ-ერთი საკონკურსო წინადადებით განსაზღვრული ლიცენზია/ლიცენზიები;

5. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო განცხადება და საკონკურსო წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნას საქართველოს სახელმწიფო ენაზე; ლიცენზიის მაძიებელმა საკონკურსო განცხადებას უნდა დაურთოს ყველა საკონკურსო წინადადება ცალ-ცალკე დალუქული ფორმით;

6. ლიცენზიის მაძიებელს უფლება აქვს თითოეულ ლოტზე წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება;

7. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი ყოველი საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ ყველა დოკუმენტს;

8. ლიცენზიის მაძიებელი უფლებამოსილია ერთ-ერთ საკონკურსო წინადადებას დაურთოს შესაბამისი დოკუმენტების ორიგინალები, ხოლო დანარჩენ საკონკურსო წინადადებებს შესაბამისი ასლები;

9. საკონკურსო წინადადების შესაბამისი დოკუმენტაცია უნდა იყოს შესაბამისად უწყვეტად დანომრილი, აკინძული და ხელმოწერილი ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

10. საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) საკონკურსო პირობებით დამტკიცებული საკონკურსო წინადადების სათანადოდ შევსებულ ტიპიურ ფორმას (დანართი N1), რომელიც მოიცავს:

ა.ა) ლიცენზიის მაძიებლის სახელწოდებას;

ა.ბ) ხუთი ლიცენზიისაგან ფორმირებული 10 დასაშვები კომბინაციიდან ლიცენზიის მაძიებლის მიერ მონიშნულ იმ ლოტს, რომელზეც ლიცენზიის მაძიებელს შემოაქვს საკონკურსო წინადადება;

ა.გ) კონკრეტული ლოტის შესაბამისი ამოწურვადი რესურსით სარგებლობისათვის ლიცენზიის მაძიებლის მიერ შემოთავაზებულ ამოწურვადი რესურსით სარგებლობის მაქსიმალურ საფასურს, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში;

ა.დ) №MUX-A ლიცენზიით განსაზღვრულ ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელში სატელევიზიო კონტენტის ეროვნულ დონეზე ღია ეთერით (ასევე მომხმარებლებისათვის უფასოდ კრიპტო-კოდირებული ფორმით) 1მგბ/წმ-ით გავრცელების ყოველთვიურ ზედა (მაქსიმალურ) ტარიფს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს გარეშე (თუ ლოტის ფარგლებში გათვალისწინებულია №MUX-A ლიცენზია);

ა.ე) №MUX-B ლიცენზიით განსაზღვრულ ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელში სატელევიზიო კონტენტის ეროვნულ დონეზე ღია ეთერით (ასევე მომხმარებლებისათვის უფასოდ კრიპტო-კოდირებული ფორმით) 1მგბ/წმ-ით გავრცელების ყოველთვიურ ზედა (მაქსიმალურ) ტარიფს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს გარეშე (თუ ლოტის ფარგლებში გათვალისწინებულია №MUX- B ლიცენზია);

ა.ვ) მოქმედ ეროვნულ საეთერო ტელემაუწყებლებთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებების რაოდენობას;

ა.ზ) მოქმედ სხვა ტელემაუწყებლებთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებების რაოდენობას;

ბ) ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ფიზიკური პირის შემთხვევაში – შესაბამისი საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ასლს;

გ) ლიცენზიის მაძიებლის წარმომადგენლის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელ ნოტარიულად დამოწმებულ დოკუმენტს;

დ) ტელემაუწყებლებთან წინასწარ გაფორმებულ ხელშეკრულებას/ხელშეკრულებებს (სადაც განსაზღვრულია ტელემაუწყებლის წინასწარი განზრახვა გაავრცელოს მის მიერ წარმოებული სატელევიზიო კონტენტი ღია ეთერით ან მომხმარებელთათვის უფასოდ, კრიპტო-კოდირებული ფორმით);

ე) ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველყოფის ტექნიკურ წინადადებას, რომელიც უნდა მოიცავდეს:

ე.ა) ქსელის აგების დეტალურ გეგმას, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს №MUX-A და/ან №MUX-B ლიცენზიებით განსაზღვრული მულტიპლექს პლატფორმების ფორმირებისათვის განსახორციელებელ სამუშაოთა ყოველთვიურ დეტალურ განრიგს 2014 წლის 1 აგვისტოდან 2015 წლის 17 ივნისამდე პერიოდში, სადაც ასევე მითითებული უნდა იყოს №MUX-A ან/და №MUX-B ლიცენზიებისათვის განსაზღვრული ძირითადი გადამცემი სადგურების განთავსების, შესაბამისი ქსელის ექსპლუატაციაში გაშვების, პრაქტიკული საქმიანობის დაწყების თარიღები და ჩრდილოვანი ზონების დამატებითი გადამცემი სადგურებით დაფარვის ვადები, რაც ლიცენზიის მაძიებლის მიერ შესაბამისი ლიცენზიის/ლიცენზიების მოპოვების შემთხვევაში ექვემდებარება კომისიის მხრიდან მუდმივ და სისტემატურ მონიტორინგს;

ე.ბ) ინფორმაციას ქსელის აგების მოდელისა და შესაბამისი ლიცენზიით/ლიცენზიებით განსაზღვრული ძირითადი გადამცემი სადგურების განთავსების სავარაუდო ადგილის (გეოგრაფიული კოორდინატების) შესახებ; იმ შემთხვევაში თუ ლიცენზიის მაძიებელი გეგმავს ძირითადი გადამცემი სადგურებისათვის გამოიყენოს წინამდებარე საკონკურსო პირობების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გეოგრაფიული კოორდინატებისაგან განსხვავებული კოორდინატები (რომელიც სცდება განსაზღვრულ გეოგრაფიულ კოორდინატებს 100მ რადიუსით), ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია საკონკურსო წინადადებით წარმოადგინოს ალტერნატიული კოორდინატების შესაბამისად განხორციელებული ქსელის დაგეგმარების პროექტი, რომლის შესწავლაც განხორციელდება კომისიის მიერ ზეპირი მოსმენის სხდომაზე. ზეპირი მოსმენის სხდომაზე კომისია უფლებამოსილია ალტერნატიული გეოგრაფიული კოორდინატების შესაბამისად წარმოდგენილ ქსელის დაგეგმარების პროექტთან დაკავშირებით მიიღოს ორი შესაძლო გადაწყვეტილებიდან ერთ-ერთი:

ე.ბ.ა) მიიღოს ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი ალტერნატიული გეოგრაფიული კოორდინატების შესაბამისად დაგეგმარებული ქსელის პროექტი. ამ შემთხვევაში ალტერნატიული გეოგრაფიული კოორდინატები (და სხვა ტექნიკური პარამეტრები, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ლიცენზიის მაძიებლის მიერ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ხდება მისი სალიცენზიო პირობა;

ე.ბ.ბ) უარი უთხრას ლიცენზიის მაძიებელს წარმოდგენილი ალტერნატიული პროექტის მიღებაზე და იმოქმედოს ლიცენზიის მაძიებლის მიმართ ამ საკონკურსო პირობების მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

ე.გ) ინფორმაციას სადისტრიბუციო ქსელის მოდელის შესახებ, რომლის გამოყენებასაც გეგმავს ლიცენზიის მაძიებელი;

ე.დ) ინფორმაციას გადამცემი და სადისტრიბუციო ქსელის აგების სავარაუდო კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების შესახებ;

ვ) განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების გეგმას, ინფორმაციას დაფინანსების წყაროების შესახებ და დაფინანსების წყაროების დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტაციას, რომელიც საშუალებას მისცემს კომისიას დარწმუნდეს ლიცენზიის მაძიებლის ფინანსურ შესაძლებლობებში;

ზ) საკონკურსო წინადადების ტიპიურ ფორმაში მონიშნული ლოტით გათვალისწინებული ლიცენზიების შესაბამისი რაოდენობის სალიცენზიო მოსაკრებლის (1000 ლარი) გადახდის დამადასტურებელ საბუთ(ებ)ს. აღნიშნული თანხა ირიცხება საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშის შესაბამისი საბანკო რეკვიზიტების მოპოვების მიზნით დაინტერესებული პირი უფლებამოსილია მიმართოს კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტს +995 32 239 40 29);

თ) საბანკო გარანტიას 500,000.00 (ხუთასი ათას) ლარზე, ან მისი ექვივალენტის ოდენობით უცხოურ ვალუტაში 2015 წლის 17 ივნისამდე მოქმედების ვადით;

მუხლი 2. კონკურსის ჩატარების წესი და დისკვალიფიკაციის საფუძვლები

1. ლიცენზიის მაძიებელს, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო წინადადებ(ებ)ის კომისიაში წარდგენასთან დაკავშირებული ხარჯები არ აუნაზღაურდება;

2. საკონკურსო განცხადების მიღების ვადის ამოწურვის შემდეგ დაუშვებელია საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო წინადადებ(ებ)ის ლიცენზიის მაძიებლის ინიციატივით შეცვლა ან დაზუსტება, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა;

3. მოსამზადებელ სხდომაზე ხდება საკონკურსო განცხადებებისა და მათზე დართული საკონკურსო წინადადების/წინადადებების ლიცენზიის მაძიებელთა თანდასწრებით გასაჯაროება - გახსნა, გამოქვეყნება, დასკანერება და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ატვირთვა კომისიის იფიციალურ ვებ გვერდზე ინტერნეტში (www.gncc.ge). აღნიშნული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია საჯარო გაცნობისათვის იმავე სამუშაო დღეს. ლიცენზიის

მაძიებლის მიერ დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, კომისია, ლიცენზიის მაძიებელს განუსაზღვრავს დამატებით 5 სამუშაო დღის ვადას, წარმოდგენილი დოკუმენტაციის სრულყოფის მიზნით;

4. კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებები და თანდართული დოკუმენტაცია, საჯარო გაცნობისათვის ხელმისაწვდომია 20 სამუშაო დღის განმავლობაში, ზეპირი მოსმენის გამართვამდე;

5. იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის მაძიებელი კომისიის მიერ წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ვადაში დოკუმენტაციას სრულყოფილად არ წარმოადგენს, კომისია იღებს გადაწყვეტილებას საკონკურსო განცხადების განუხილველად დატოვებისა და ლიცენზიის მაძიებლისათვის კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ;

6. კომისია ზეპირი მოსმენის სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის მაძიებლის დისკვალიფიკაციის შესახებ თუ:

ა) საკონკურსო განცხადება წარმოდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;

ბ) საკონკურსო განცხადება წარმოდგენილია კონკურსის გამოცხადების თაობაზე კომისიის 2014 წლის 31 მარტის N176/10 გადაწყვეტილების მე-6 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ;

გ) თუ საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან თუნდაც ერთ-ერთი, არ შეესაბამება კონკურსით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

დ) თუ წარმოდგენილია ყალბი ინფორმაცია; ამ შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს არ უბრუნდება მის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია;

ე) ალტერნატიული გეოგრაფიული კოორდინატების შესაბამისად ქსელის დაგეგმარების პროექტის წარმოდგენის შემთხვევაში, თუ კომისიამ არ მიიღო წარმოდგენილი წინადადება;

7. კომისია კონკურსს ატარებს საჯარო სხდომაზე.

8. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება წინამდებარე საკონკურსო პირობების მე-3 მუხლით განსაზღვრული საკონკურსო წინადადებების შეფასების მეთოდოლოგიის, კრიტერიუმებისა და წესის შესაბამისად;

9. კომისია იღებს და აქვეყნებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულის/გამარჯვებულების გამოვლენის შესახებ; კომისიის გადაწყვეტილების ასლი კონკურსის შედეგების შესახებ ეგზავნება კონკურსის ყველა მონაწილეს. კონკურსში გამარჯვებულის/გამარჯვებულების გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ქვეყნდება კომისიის ვებ-გვერდზე (www.gncc.ge) ინტერნეტში;

10. ლიცენზიის მაძიებელს უფლება აქვს კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე (კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილების მიღებამდე) უარი განაცხადოს კონკურსში მონაწილეობაზე;

11. თუ ლიცენზიის მაძიებელმა კონკურსში მონაწილეობაზე უარი განაცხადა საკონკურსო განცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე, მას, მოთხოვნის შემთხვევაში, კომისიაში წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება უკან უბრუნდება.

12. იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის მაძიებელმა კონკურსში მონაწილეობაზე უარი განაცხადა საკონკურსო განცხადების მიღების ვადის ამოწურვის შემდეგ, მაგრამ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილების მიღებამდე, მას საკონკურსო განცხადება და საკონკურსო წინადადება უკან არ უბრუნდება;

13. ლიცენზიის მაძიებელს, რომელმაც კონკურსში ვერ გაიმარჯვა, ან კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილების მიღებამდე უარი განაცხადა კონკურსში მონაწილეობის თაობაზე, მის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია უბრუნდება უკან კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ ან კონკურსის ჩაშლის შესახებ, კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;

14. კონკურსში გამარჯვებულზე ლიცენზია გაიცემა კონკურსში გამარჯვებულის მიერ ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის გადახდიდან 5 სამუშაო დღის ვადაში; წინამდებარე საკონკურსო პირობებით განსაზღვრული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყის საფასურზე მეტის გადახდის შემთავაზების შემთხვევაში, ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყის საფასურზე მეტი გადაიხდება ლიცენზიის გაცემიდან 1 წლის განმავლობაში, კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად.

15. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში გამარჯვებულის მიერ, გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში არ იქნა გადახდილი ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური, კომისია იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმისა და კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

16. კონკურსში გამარჯვებულის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია ექვემდებარება განაღდებას თუ:

ა) კონკურსში გამარჯვებულმა ამ მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული წესით არ გადაიხადა ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური და შესაბამისად, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმისა და კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

ბ) კონკურსში გამარჯვებულმა არ უბრუნველყო მის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებითა და ლიცენზიით განსაზღვრული სხვა პირობების შესრულება 2015 წლის 17 ივნისამდე;

გ) ლიცენზიის მაძიებლის მიერ ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში;

17. კონკურსში გამარჯვებულზე გაცემულ ლიცენზიაში წინამდებარე საკონკურსო პირობების მე-4 მუხლით განსაზღვრული სავალდებულო ტექნიკური მოთხოვნები და სხვა

სალიცენზიო პირობები, ასევე ლიცენზიის მაძიებლის მიერ კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი საკონკურსო წინადადება აისახება ლიცენზიის პირობებად, რომლის შესრულებაც სავალდებულოა;

18. კომისია დაუყოვნებლივ აცხადებს განმეორებით კონკურსს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

ა) თუ კონკურსი ჩაიშალა (არც ერთი საკონკურსო განცხადება არ შემოვიდა, არც ერთ ლოტზე არ გამოვლინდა გამარჯვებული);

ბ) თუ №MUX-A ან №MUX-B ლიცენზიების მოსაპოვებლად კონკურსში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა;

გ) თუ კონკურსში გამარჯვებულზე ლიცენზია არ გაიცა, ამ მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრული საფუძვლით.

მუხლი 3. საკონკურსო წინადადებების შეფასების მეთოდოლოგია, კრიტერიუმები და წესი

1. საკონკურსო წინადადებების შეფასების მეთოდოლოგია

ა) ლიცენზიის მაძიებლის მიერ შემოტანილი ყოველი საკონკურსო წინადადება ფასდება ინდივიდუალურად, ხოლო თითოეული ლიცენზიის მაძიებლის მიერ შემოტანილი ყოველი საკონკურსო წინადადება, რომელიც ლიცენზიის სხვა მაძიებლის მიერ შემოტანილ საკონკურსო წინადადებასთან ერთად ქმნის კომბინაციას, ფასდება კომბინირებულად;

ბ) კომბინაცია (კომბინაციური წყვილი) არის ორი სხვადასხვა ლიცენზიის მაძიებლის მიერ საკონკურსო წინადადებებით განსაზღვრული $A+X$ და $B+X$ ლოტების ერთობლიობა, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრული ლიცენზიების ჯამური რაოდენობა არ აღემატება 5-ს. მაგალითად: ორი სხვადასხვა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადება რომელთაგანაც ერთი მოიცავს $A+1$ ლოტს და მეორე $B+2$ ლოტს წარმოადგენს კომბინაციას, ხოლო $A+2$ და $B+2$ არ ქმნის კომბინაციას; ლიცენზიის ერთი მაძიებლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები არ ქმნის კომბინაციას და ფასდება ინდივიდუალურად. მაგალითად: ლიცენზიის ერთი მაძიებლის მიერ $A+1$ და $B+2$ ლოტზე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები არ წარმოადგენს კომბინაციას და ორივე წინადადება ფასდება ინდივიდუალურად.

გ) კონკურსის გამარჯვებულად შესაძლებელია გამოცხადდეს ლიცენზიის ერთი ან ორი მაძიებელი;

დ) კონკურსში გამარჯვებულად ცხადდება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომლის საკონკურსო წინადადებაც ინდივიდუალური შეფასებისას მიიღებს უმაღლეს ქულას ან ლიცენზიის ის მაძიებლები, რომელთა საკონკურსო წინადადებებიც (კომბინაციური წყვილი) კომბინირებულად შეფასებისას მიიღებს უმაღლეს ქულას;

ე) თუ შეფასებისას უმაღლეს ქულას მიიღებს ლიცენზიის მაძიებლის ინდივიდუალურად შეფასებული საკონკურსო წინადადება, ხოლო მეორე უმაღლეს ქულას მიიღებს კომბინაციური წყვილი, რომელშიც გათვალისწინებულია იმ ლიცენზიის მაძიებლის ის საკონკურსო წინადადება, რომელმაც ინდივიდუალურად შეფასებისას მიიღო უმაღლესი ქულა, კონკურსში გამარჯვებულად ცხადდებიან ლიცენზიის ის მაძიებლები, რომელთა საკონკურსო წინადადებებიც მონაწილეობს ამგვარი კომბინაციური წყვილის ფარგლებში;

ვ) თუ ინდივიდუალური საკონკურსო წინადადება და კომბინაციური წყვილის წინადადება მიიღებს ერთი და იგივე საბოლოო ქულას, პრიორიტეტი მიენიჭება კომბინაციური წყვილის ფარგლებში არსებულ საკონკურსო წინადადებას;

ზ) თუ ორი ინდივიდუალური საკონკურსო წინადადება ან ორი კომბინაციური წყვილის წინადადება მიიღებს ერთი და იგივე საბოლოო ქულას, პრიორიტეტი მიენიჭება იმ ინდივიდუალურ ან კომბინაციური

წყვილის ფარგლებში არსებულ საკონკურსო წინადადებას, რომელიც R კრიტერიუმის მიხედვით შეფასებულია უფრო მაღალი ქულით;

თ) თუ ორი ინდივიდუალური საკონკურსო წინადადება ან ორი კომბინაციური წყვილის წინადადება მიიღებს ერთი და იგივე ქულას R კრიტერიუმის მიხედვით, პრიორიტეტი მიენიჭება იმ ინდივიდუალური ან კომბინაციური წყვილის საკონკურსო წინადადებას, რომელიც K კრიტერიუმის მიხედვით შეფასებულია უფრო მაღალი ქულით;

ი) თუ ორი ინდივიდუალური საკონკურსო წინადადება ან ორი კომბინაციური წყვილის წინადადება მიიღებს ერთი და იგივე ქულას ყველა კრიტერიუმით, პრიორიტეტი მიენიჭება იმ ინდივიდუალურ ან კომბინაციური წყვილის საკონკურსო წინადადებას, რომელის კომისიაში შემოტანის დროც წინ უსწრებს მეორეს;

კ) თუ კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ლიცენზიის მაძიებლის ერთი საკონკურსო წინადადება, კომისია ამ მუხლით განსაზღვრული შეფასების წესის გამოყენების გარეშე, აფასებს აღნიშნული ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას წინამდებარე საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ სალიცენზიო პირობებთან და ლიცენზიის მაძიებლის მიერ ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდის დადასტურების შემთხვევაში, აცხადებს მას კონკურსში გამარჯვებულად;

ლ) თუ კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილია ორი ლიცენზიის მაძიებლის მხოლოდ ორი საკონკურსო წინადადება, რომლებიც ქმნის კომბინაციურ წყვილს, კომისია ამ მუხლით განსაზღვრული შეფასების წესის გარეშე, აფასებს აღნიშნული ლიცენზიების მაძიებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას წინამდებარე საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ სალიცენზიო პირობებთან და ლიცენზიის მაძიებლების მიერ ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდის დადასტურების შემთხვევაში, აცხადებს მათ კონკურსში გამარჯვებულად;

2. შეფასების კრიტერიუმები

ლიცენზიის თითოეული მაძიებლის მიერ წარმოდგენილი თითოეული საკონკურსო წინადადება ინდივიდუალურად, ისევე როგორც კომბინირებულად (თუ შედგა კომბინაციური წყვილი) ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) ამოწურვადი რესურსით სარგებლობისათვის შემოთავაზებული საფასური (K) - ფასდება მაქსიმუმ 12 ქულით;

ბ) №MUX-A ან/და №MUX-B ლიცენზიებით განსაზღვრულ ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელებში სატელევიზიო კონტენტის ეროვნულ დონეზე ღია ეთერით (ასევე მომხმარებელთათვის უფასოდ, კრიპტო-კოდირებული ფორმით) გავრცელების ზედა (მაქსიმალური) ტარიფი (R) - ფასდება მაქსიმუმ 78 ქულით, სადაც:

ბ.ა) №MUX-A ლიცენზიით განსაზღვრულ ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელში სატელევიზიო კონტენტის ეროვნულ დონეზე ღია ეთერით (ასევე მომხმარებელთათვის უფასოდ, კრიპტო-კოდირებული ფორმით) გავრცელების ზედა (მაქსიმალური) ტარიფი (**R_a**) -ფასდება მაქსიმუმ 39 ქულით;

ბ.ბ) №MUX-B ლიცენზიით განსაზღვრულ ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელში სატელევიზიო კონტენტის ეროვნულ დონეზე ღია ეთერით (ასევე მომხმარებელთათვის უფასოდ, კრიპტო-კოდირებული ფორმით) გავრცელების ზედა (მაქსიმალური) ტარიფი (**R_b**) -ფასდება მაქსიმუმ 39 ქულით;

გ) მოქმედ მაუწყებელთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულების (ურთიერთგანზრახვის შეთანხმება) რაოდენობა (**M**)- ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით, სადაც:

გ.ა) მოქმედ ეროვნულ საეთერო მაუწყებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა (**M_a**) ფასდება მაქსიმუმ 6 ქულით;

გ.ბ) მოქმედ სხვა მაუწყებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა (**M_b**) ფასდება მაქსიმუმ 4 ქულით;

3. საკონკურსო წინადადების ინდივიდუალურად ან/და კომბინირებულად შეფასების წესი განისაზღვრება დანართი N2-ით;

მუხლი 4. სავალდებულო ტექნიკური მოთხოვნები და სხვა სალიცენზიო პირობები

1. სავალდებულო ტექნიკური მოთხოვნები

ა) სტანდარტები და ტექნოლოგიები:

ა.ა) ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის/ქსელების აგება უნდა განხორციელდეს DVB-T2 (EN 302 755) სტანდარტითა და მონაცემთა შემჭიდროვების H.264 (MPEG 4) ტექნოლოგიით (ISO/IEC 14496);

ა.ბ) ციფრული მიწისზედა სატელევიზიო პლატფორმები უნდა დაიგეგმოს და აიგოს DVB-T2 COFDM პარამეტრებზე დაყრდნობით, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილი იქნება ქსელში ინფორმაციის გადაცემის წმინდა სიჩქარე არანაკლებ 33.1 მგბ/წმ;

ა.გ) №MUX-A და №MUX-B ლიცენზიებით განსაზღვრული ქსელების ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა იქნას მაღალი გარჩევადობის (HD) ფორმატის მონაცემთა მიწოდება 8 მგბ/წმ (ვიდეო გამოსახულების - მინიმუმ 7 მგბ/წმ) სიჩქარით და სტანდარტული გარჩევადობის (SD) ფორმატის მონაცემთა მიწოდება 2.15 მგბ/წმ (ვიდეო გამოსახულების - მინიმუმ 1.7 მგბ/წმ) სიჩქარით. აღნიშნული სიჩქარე განსაზღვრულია, როგორც სტატისტიკური მულტიპლექსირების საშუალო სიჩქარე ერთი კვირის განმავლობაში და მოიცავს ვიდეო, აუდიო და სუბტიტრირების შესაბამისი მონაცემების გადაცემას.

ბ) ხელმისაწვდომობის ხარისხი (SLA)

მომსახურების შეფერხების შემთხვევაში, „შეცდომა“ განისაზღვრება ETSI TR 101 290 სტანდარტის შესაბამისად. №MUX-A და №MUX-B ლიცენზიების ფარგლებში ამ მუხლის ბ.ე) პუნქტით განსაზღვრული ძირითადი საიტებისათვის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილ უნდა იქნას შემდეგი კატეგორიების

შესაბამისად: ხელმისაწვდომობის ხარისხის ერთი წლის საშუალო მონაცემი პირველი კატეგორიის საიტებისათვის უნდა იყოს - 99.75 %; მეორე კატეგორიის საიტებისათვის - 99.5 %, მესამე კატეგორიის საიტებისათვის - 99.35 %, მეოთხე კატეგორიის საიტებისათვის - 98.5%.

ბ.ა) "არახელმისაწვდომობა" განსაზღვრული უნდა იყოს როგორც ქსელის ოპერატორის მიერ პრობლემის აღმოჩენიდან მის აღმოფხვრამდე საჭირო დროის ხანგრძლივობა;

ბ.ბ) „შეცდომები“, რომელთა ხანგრძლივობა არ აღემატება 15 წამს უნდა იქნას იგნორირებული;

ბ.გ) ხელმისაწვდომობის დრო ითვლება დამოუკიდებლად, ცალკეული არხისა და ცალკეული ძირითადი გადამცემი სადგურის მონაცემების მიხედვით;

ბ.დ) ხელმისაწვდომობის გაანგარიშების ფორმულა შემდეგი სახისაა:

$$K = 100 \times (1 - X/8,760)$$

სადაც:

K - წარმოადგენს რეალურ ხელმისაწვდომობას გამოხატულს %-ებში;

X - წარმოადგენს არახელმისაწვდომობის დროს (საათები წელიწადში);

8,760 - წარმოადგენს სულ საათების რაოდენობას წელიწადში.

ბ.ე) ცხრილი №1. დასახლებული პუნქტები, რომელთა ძირითადი ნაწილი დაფარულია „ხელმისაწვდომობის ხარისხის“ განსაზღვრულ კატეგორიებად დაყოფილი საიტების სიგნალებით (ჩრდილოვანი ზონების დასაფარად განსაზღვრულ საიტს კატეგორია მიენიჭება იმ საიტის შესაბამისად, რომელიც განკუთვნილია მოცემული დასახლებული პუნქტის ძირითადი ნაწილის დასაფარად).

საიტის კატეგორია	საიტის მდებარეობა/ქალაქი	გრადაცია	დედაქალაქი/მხარე/ ავტონომიური რესპუბლიკა
პირველი კატეგორია	თბილისი	მოსახლეობა 50000-ზე მეტი	თბილისი
	ქუთაისი		იმერეთი
	ბათუმი		აჭარა
	რუსთავი		ქვემო ქართლი
	ზუგდიდი		სამეგრელო/ზემო სვანეთი
მეორე კატეგორია	ფოთი	მოსახლეობა 20000-დან 50000-ის ჩათვლით	სამეგრელო/ზემო სვანეთი
	გორი		შიდა ქართლი
	სამტრედია		იმერეთი
	ხაშური		შიდა ქართლი
	ცხინვალი		შიდა ქართლი
	სოხუმი		აფხაზეთი
	გაგრა		აფხაზეთი
	ოჩამჩირე		აფხაზეთი
	სენაკი		სამეგრელო/ზემო სვანეთი
	ზესტაფონი		იმერეთი
	თელავი		კახეთი
	ოზურგეთი		გურია
	მარნეული		ქვემო ქართლი
	მესამე კატეგორია		კასპი
ჭიათურა		იმერეთი	
ახალციხე		სამცხე-ჯავახეთი	

	ქობულეთი		აჭარა
	წყალტუბო		იმერეთი
	ბორჯომი		სამცხე-ჯავახეთი
	ტყიბული		იმერეთი
	საგარეჯო		კახეთი
	გარდაბანი		ქვემო ქართლი
	გუდაუთა		აფხაზეთი
	ხონი		იმერეთი
	გურჯაანი		კახეთი
მეოთხე კატეგორია	ბოლნისი	ქალაქები, მოსახლეობით 10000-ზე ნაკლები, ასევე ყველა სხვა დასახლებული პუნქტი	ქვემო ქართლი
	ახალქალაქი		სამცხე-ჯავახეთი
	ყვარელი		კახეთი
	წალენჯიხა		სამეგრელო/ზემო სვანეთი
	ახმეტა		კახეთი
	ლანჩხუთი		გურია
	დედოფლისწყარო		კახეთი
	მცხეთა		მცხეთა-მთიანეთი
	დუშეთი		მცხეთა-მთიანეთი
	ქარელი		შიდა ქართლი
	საჩხერე		იმერეთი
	ლაგოდეხი		კახეთი
	აბაშა		სამეგრელო/ზემო სვანეთი
	ნინოწმინდა		სამცხე-ჯავახეთი
	წნორი		კახეთი
	მარტვილი		სამეგრელო/ზემო სვანეთი
	ხოზი		სამეგრელო/ზემო სვანეთი
	თერჯოლა		იმერეთი
	ვალე		სამცხე-ჯავახეთი
	ჯვარი		სამეგრელო/ზემო სვანეთი
	ბაღდათი		იმერეთი
	ვანი		იმერეთი
	თეთრი წყარო		ქვემო ქართლი
	დმანისი		ქვემო ქართლი
	გალი		აფხაზეთი
	ტყვარჩელი		აფხაზეთი
	ახალი ათონი		აფხაზეთი
	ონი		რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი
	ამბროლაური		რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი
	სიღნაღი		კახეთი
	ცაგერი		რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი
	წალკა		ქვემო ქართლი

გ) ძირითადი გადამცემი სადგურებისა და ჩრდილოვანი ზონებისათვის განკუთვნილი გადამცემი სადგურების ტექნიკური პარამეტრები:

გ.ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გადამცემი სადგურების განთავსება უზრუნველყოს ლიცენზიით გათვალისწინებული (კერძოდ, შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ ძირითადი საიტების) გეოგრაფიული კოორდინატების შესაბამისად ან გადამცემი სადგურების განთავსება განახორციელოს განსაზღვრული კოორდინატების მიმართ 100მ. რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება ± 5 მ);

(შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ ლიცენზიის მაძიებელი გეგმავს ძირითადი გადამცემი სადგურებისათვის გამოიყენოს სალიცენზიო პირობებით განსაზღვრული გეოგრაფიული კოორდინატებისაგან განსხვავებული კოორდინატები (რომელიც სცდება 100მ. რადიუსის ფარგლებს) ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია საკონკურსო წინანადებით წარმოადგინოს ალტერნატიული კოორდინატების შესაბამისად განხორციელებული ქსელის დაგეგმარების პროექტი, რომლის შესწავლაც განხორციელდება კომისიის მიერ ზეპირი მოსმენის სხდომამდე).

გ.ბ) ვინაიდან სალიცენზიო პირობებით არ არის განსაზღვრული ჩრდილოვანი ზონების დასაფარად განკუთვნილი საიტების შესაბამისი ტექნიკური პარამეტრები (სიხშირული რესურსი, გეოგრაფიული კოორდინატები, განთავსების სიმაღლე, ეფექტურად გასხივებული სიმძლავრის მაჩვენებელი და სხვა ტექნიკური პარამეტრები), ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყველა დამატებითი საიტის (ჩრდილოვანი ზონების დასაფარად განკუთვნილი საიტების) დაგეგმარებისას მიმართოს კომისიას, რომელიც განახორციელებს შესაბამისი რადიოსიხშირული რესურსისა და ტექნიკური პარამეტრების განსაზღვრას.

დ) სადისტრიბუციო ქსელი:

N^oMUX-A და N^oMUX-B ლიცენზიების სადისტრიბუციო ქსელის ფარგლებში რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას ოპტიკურ-ბოჭკოვანი და/ან რადიოსარელეო კავშირი (გასათვალისწინებელია, რომ დაბალსიხშირულ (10 გჰც-ს ქვემოთ) დიაპაზონებში რადიოსარელეო კავშირისათვის სიხშირული რესურსი შეზღუდულია). თანამგზავრული კავშირი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სარეზერვო სადისტრიბუციო ქსელის ასაგებად.

ე) ელექტრონული გზამკვლევი (EPG) და შესაბამისი ინფორმაცია:

ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელები (ეროვნულ (UHF) მულტიპლექს პლატფორმის ოპერატორები) ვალდებული არიან ურთიერთგაცვალონ ელექტრონული გზამკვლევის ყველა შესაბამისი ინფორმაცია (მაუწყებლების სატელევიზიო პროგრამების შესახებ 7 დღის ინფორმაცია) და განათავსონ თავის მულტიპლექს პლატფორმაში. თითოეულ მულტიპლექს პლატფორმაში ელექტრონული გზამკვლევის შესაბამისი ინფორმაციისათვის (PSI/SI) გამოყოფილი უნდა იქნას მინიმუმ 0.8 მგბტ/წმ გამტარუნარიანობა.

ვ) ოპერირების წესები:

ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმის და შესაბამისი რეკომენდაციების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის N^o206 განკარგულებით მოწონებული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ოპერირების წესები, რომელიც ხელმისაწვდომია

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე ინტერნეტში <http://www.economy.ge/ge/media/news/cifrul-miwiszeda-satelevizio-mauwyeblobaze-gadasvlis-samoqmedo-gegma-da-rekomendaciebi> და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე ინტერნეტში http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=50712&info_id=115066).

ზ) პირობითი დაშვების სისტემა და ბარათები:

ზ.ა) ლიცენზიის მფლობელები ირჩევენ საქართველოში ციფრული მიწისზედა მაუწყებლობის ფარგლებში გამოსაყენებელ პირობითი დაშვების სისტემას(ებს). სიმულკრიპტი გამოყენებულ უნდა იქნას რამოდენიმე პირობითი დაშვების სისტემის ერთობლივი მუშაობის ხელშეწყობისათვის. პირობითი დაშვების სისტემას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა უზრუნველყოს „ჩიპთა“ ერთობლიობის დაწყვილება (chipset pairing);

ზ.ბ) ლიცენზიის მფლობელები უნდა შეთანხმდნენ პირობითი დაშვების სისტემის ბარათების ერთ სახეობაზე, რომელიც იქნება ერთიანი/უნივერსალური ყველა მიმღებისათვის. აღნიშნული გულისხმობს, რომ საქართველოს ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელებით გავრცელებული ყველა მომსახურების მიღება უნდა იყოს შესაძლებელი ერთი ბარათის მეშვეობით (პირობითი დაშვების სისტემის ბარათით).

თ) მიმღები მოწყობილობა(ები) - ე.წ. „სეთ-თოფ-ბოქსები“

ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის შესაბამისი „სეთ-თოფ-ბოქსების“ იმპორტის და/ან მომხმარებლისათვის მიწოდების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სერტიფიცირებული მოწყობილობების შემოტანა (მომხმარებლებისათვის მიწოდება), რომელიც შეესაბამება „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმის და შესაბამისი რეკომენდაციების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის №206 განკარგულებით მოწონებული სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ დოკუმენტს „სეთ-თოფ-ბოქსების“ სპეციფიკაციების შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე ინტერნეტში <http://www.economy.ge/ge/media/news/cifrul-miwiszeda-satelevizio-mauwyeblobaze-gadasvlis-samoqmedo-gegma-da-rekomendaciebi>, ასევე კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე ინტერნეტში http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=50712&info_id=115066).

2. სხვა სალიცენზიო პირობები (ვალდებულებები)

2.1 №MUX-A ლიცენზიის სხვა სალიცენზიო პირობები:

ა) №MUX-A ლიცენზიის ფარგლებში 2015 წლის 17 ივნისიდან (ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის შემდგომ) ლიცენზიის მოქმედების სრული პერიოდით (10 წლის ვადით) - 2025 წლის 17 ივნისამდე ენიჭება ცხრილი №2-ით განსაზღვრული ძირითადი გადამცემი სადგურების შესაბამისი სიხშირული რესურსი, ისევე როგორც ლიცენზიის გაცემისთანავე - ცხრილი N2-ით განსაზღვრული ქსელის ტესტირებისათვის განკუთვნილი რადიოსიხშირული რესურსი;

ბ) ცხრილი №2. №MUX-A ლიცენზიის ფარგლებში მინიჭებული რადიოსიხშირული რესურსი და შესაბამისი ტექნიკური პარამეტრები:

№	GEO-06-ით განსაზღვრული ციფრული სამუწყებლო ზონა	პუნქტი	ფანქნურად განხილული სიხშირე ERP [KVI]	გეოგრაფიული კოორდინატები		ანტენის პარამეტრები			ქსელის ტესტირებისათვის ხემისაწვდომი რადიოსიხშირული რესურსი			2015 წლის 17 ივნისის (ანალოგური მუწყებლობის გათიშვის) შემდგომ ხელმისაწვდომი რადიოსიხშირული რესურსი		
				ჩრდილოეთი გარედი (N)	აღმოსავლეთი გარედი (E)	დაკედების სიმაღლე ±5 (M)	გახსივების მიზარულულება (მიმართული/არამართული) (D/ND)	პოლარიზაცია H/V	სატელეფონო არხი	ცენტრალური სიხშირე (MHz)	ზოლის სიგანე (MHz)	სატელეფონო არხი	ცენტრალური სიხშირე (MHz)	ზოლის სიგანე (MHz)
1	GEO250	ჯვარი	0,3	42°43'31.32"	42°3'23.81"	25	ND	H	52	722	8	40	626	8
2	GEO250	წალენჯიხა	0,8	42°37'0.03"	42°3'45.23"	20	ND	H	52	722	8	28	530	8
3	GEO250	ზუგდიდი	2,3	42°30'7.8"	41°53'9.44"	60	ND	H	52	722	8	26	514	8
4	GEO252	ბათუმი	5	41°41'37.62"	41°42'55.29"	46	D	H	58	770	8	30	546	8
5	GEO252	ოზურგეთი	0,3	41°54'49.42"	41°59'34.7"	25	ND	H	58	770	8	29	538	8
6	GEO252	ფოთი	2,6	42°11'16.3"	41°42'3.09"	120	ND	H	58	770	8	43	650	8
7	GEO252	ქედა	0,5	41°35'54.82"	41°55'22.87"	25	ND	H	58	770	8	29	538	8
8	GEO253	ამბროლაური	0,3	42°30'50.09"	43°9'51.79"	20	ND	H	58	770	8	25	506	8
9	GEO253	ცაგერი	0,5	42°38'57.94"	42°45'25.95"	30	ND	H	58	770	8	46	674	8
10	GEO253	ჭიათურა	0,6	42°17'16.09"	43°15'39.85"	70	ND	H	58	770	8	39	618	8
11	GEO253	ჩხოროწყუ	0,3	42°31'45.91"	42°6'11.39"	35	ND	H	58	770	8	46	674	8
12	GEO253	ჩოხატაური	0,3	41°59'38.13"	42°13'49.45"	30	ND	H	58	770	8	39	618	8
13	GEO253	ქუთაისი	5	42°16'48.9"	42°44'11.45"	100	ND	H	58	770	8	47	682	8
14	GEO253	ლენტეხი	0,8	42°46'31.1"	42°45'53.46"	12	ND	H	58	770	8	39	618	8
15	GEO253	მესტია	0,4	43°2'7.74"	42°47'39.63"	18	ND	H	58	770	8	47	682	8
16	GEO253	ონი	0,3	42°34'46.13"	43°25'44.68"	25	ND	H	58	770	8	39	618	8
17	GEO253	სამხერე	0,6	42°20'55.58"	43°24'15.55"	20	ND	H	58	770	8	26	514	8
18	GEO253	ტყიბული	0,3	42°22'26.89"	43°2'20.06"	40	ND	H	58	770	8	46	674	8
19	GEO255	აბასთუმანი	0,1	41°45'11.07"	42°49'28.16"	30	ND	H	53	730	8	29	538	8
20	GEO255	ახალქალაქი	5	41°20'51.9"	43°25'33.95"	60	ND	H	53	730	8	29	538	8
21	GEO255	ახალციხე	4,1	41°37'48.48"	42°57'25.07"	60	ND	H	53	730	8	30	546	8
22	GEO255	ასპინძა	0,2	41°34'5.58"	43°12'10.14"	30	ND	H	53	730	8	29	538	8
23	GEO255	ხულო	0,6	41°38'23.27"	42°20'34.27"	25	ND	H	53	730	8	30	546	8
24	GEO255	ნინოწმინდა	0,1	41°16'1.36"	43°35'19.02"	30	ND	H	53	730	8	29	538	8
25	GEO255	მუხევი	0,3	41°38'57.48"	42°11'23.82"	22	ND	H	53	730	8	43	650	8
26	GEO256	ბაკურიანი	0,1	41°44'8.56"	43°33'13.34"	25	ND	H	53	730	8	30	546	8
27	GEO256	ბეკამი	0,5	42°0'8.35"	43°33'39.3"	32	ND	H	53	730	8	42	642	8
28	GEO256	ბორჯომი	1	41°49'26.5"	43°23'0.58"	20	ND	H	53	730	8	40	626	8
29	GEO256	დუშეთი	0,4	42°0'7.12"	44°39'23.75"	30	ND	H	53	730	8	30	546	8
30	GEO256	გორი	4,4	42°1'56.1"	44°2'50.99"	166	ND	H	53	730	8	43	650	8
31	GEO257	ყაზბეგი	0,6	42°37'31.34"	44°36'42.95"	20	ND	H	53	730	8	39	618	8

32	GE0258	ბოლნისი	1,6	41°28'0.76"	44°32'17.39"	30	ND	H	51	714	8	31	554	8
33	GE0258	დმანისი	3,1	41°22'39.82"	44°12'52.63"	60	D	H	51	714	8	41	634	8
34	GE0258	წალკა	0,5	41°38'5.98"	44°14'19.11"	50	ND	H	51	714	8	31	554	8
35	GE0259	ყვარელი	4,5	41°54'23.19"	45°49'41.44"	25	ND	H	57	762	8	40	626	8
36	GE0259	საგარეჯო	0,2	41°43'40.7"	45°17'17"	25	ND	H	48	690	8	40	626	8
37	GE0259	თბილისი	5	41°41'44.75"	44°47'6.44"	120	ND	H	48	690	8	46	674	8
38	GE0259	თიანეთი	0,3	42°6'7.3"	44°56'54.7"	20	ND	H	57	762	8	40	626	8
39	GE0259	ცივი	0,6	41°52'13.23"	45°24'35.45"	12	ND	H	57	762	8	42	642	8
40	GE0261	დედოფლისწყარო	4	41°28'0.81"	46°8'10.82"	90	D	H	29	538	8	25	506	8
41	GE0261	ლაგოდეხი	0,3	41°48'42.61"	46°10'16.87"	25	ND	H	29	538	8	29	538	8
42	GE0261	სიღნაღი	0,7	41°37'15"	45°53'27.7"	25	ND	H	29	538	8	25	506	8
43*	GE0249	სიხუმი										26	522	8
44*	GE0249	გუდაუთა										26	522	8
45*	GE0249	გაგრა										26	522	8
46*	GE0250	გალი										26	522	8
47*	GE0250	ოჩამჩირე										26	522	8
48*	GE0250	ტყვარჩელი										26	522	8
49*	GE0256	ცხინვალი										46	674	8
50*	GE0256	ჯავა										46	674	8

შენიშვნა 1: „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ეფექტურად გასხივებული სიმძლავრე, გეოგრაფიული კოორდინატები და ანტენის პარამეტრები, აგრეთვე ქსელის ფორმირების სალიცენზიო ვალდებულების შესასრულებლად კონკურსში გამარჯვებულისთვის დამატებითი ვადა განსაზღვრება კომისიის მიერ, შესაბამისი პირობების დადგომისთანავე;

შენიშვნა 2: ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურების განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 100მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება ±5მ);

შენიშვნა 3: მიმართული გადამცემი ანტენების გასხივების დიაგრამა უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მნიშვნელობებს:

ბათუმი: 210°/2 dB, 220°/2.5 dB, 230°/3 dB, 240°/3 dB, 250°/3 dB, 260°/2.5 dB, 270°/2 dB, 280°/2.7 dB, 290°/3.3 dB, 300°/4.3 dB, 310°/2.9 dB, 320°/1.5 dB.

დმანისი: 140°/1.2 dB, 150°/2.6 dB, 160°/3.2 dB, 170°/4.4 dB, 180°/4.3 dB, 190°/2.9 dB, 200°/1.9 dB, 210°/0.7dB.

დედოფლისწყარო: 20°/0.5 dB, 30°/1.3 dB, 40°/1.3 dB, 50°/2 dB, 60°/3.5 dB, 70°/5.3 dB, 80°/4.7 dB, 90°/2 dB.

გ) ცხრილი №2-თ განსაზღვრული ძირითადი გადამცემი სადგურების გამოყენებით, განსხვავებული სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების შესაძლებლობის მქონე ქსელის ფორმირება უზრუნველყოს ცხრილი 3-ში მოცემული №MUX-A ლიცენზიის ადგილობრივი ქვეზონებისა და ე.წ „Headend“-ების განთავსების პუნქტების შესაბამისად:

